პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 32 (2752) ● შაბათი, 16 თებერვალი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მათ მოაჯადოვეს მაყურებელი

●

ევროპის 1965 წლის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში

●

მოსკოვი. 15 თებერვალი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლის საციგუროზე ევროპის ჩემპიონი გამოვლინდა კიდევ ერთ სახეობაში — ქალთა ფიგურულ სრიალში. გუშინ ბრძოლაში 20 სპორტსმენი ჩაება. სავალდებულო ვარჯიშების მიხედვით კი შერჩა ათი ლიდერი, რომლებმაც გადამწყვეტ პაექრობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ევროპის ხუთგზის ჩემპიონის ჰოლანდიელ ს. დიიქსტრას პროფესიონალებში გადასვლამ ხელ-ფეხი გაუხსნა 22 წლის ავსტრიელ რ. ჰეიტცერს და იგი ლიდერი გახდა. ფინალის წინ II და III ადგილებზე იყვნენ ინგლისელები ს. სტეპლფორდი და დ. კლიფტონ-პიჩი. საფრანგეთის ჩემპიონი ნ. ასლერი მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა.

შეჯიბრების ლიდერმა გამოცდები ფინალშიც კარგად ჩააბარა და ევროპის ჩემპიონობა დაისაკუთრა. სავალდებულო ვარჯიშებში მოპოვებული უპირატესობა ს. სტეპლფორდმა ნებისმიერშიც შეინარჩუნა. მან მოიპოვა ვერცხლის მედალი. III ადგილისათვის ბრძოლაში საფრანგეთის ჩემპიონმა ნ. ასლერმა ფინალში აშკარად დაჩაგრა თავისი მთავარი კონკურენტი კლიფტონ-პიჩი. ასლერმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფინალში მათ ნამდვილად მოაჯადოვეს მაყურებელი.

სავალდებულო ვარჯიშებში ცუდი მაჩვენებლის გამო (მე-17 ადგილი) ფინალის მიღმა დარჩა საბჭოთა სპორტსმენი ტ. ბრატუსი.

რაც შეეხება ვაჟებს, სავალდებულო პროგრამის შემდეგ ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ფრანგი ა. კალმა ჯერჯერობით მეორე ადგილზეა. ტურნირს ლიდერობს ავსტრიელი ე. დანცერი. ფინალურ ათეულში მოხვდა 19 წლის მოსკოველი ს. ჩეტვერუხინიც. თუ ვინ იქნება უძლიერესი დღეს გამოვლინდება.

ო. ვოლკოვი

• • •

სურათებზე: ზემოთ — ევროპის ჩემპიონები წყვილთა სრიალში — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, ქვემოთ — ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებული რ. ჰეიტცერი.

უკანასკნელი საათი...

◆ დრეზდენი, 15 თებერვალი. მსოფლიო ჩემპიონმა — სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა დრეზდენში ჩაატარა მეორე მატჩი გდრ-ის ეროვნულ ნაკრებთან. გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა — 7:3. აქედან ჩვენი ქვეყნის ნაკრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრება, სადაც ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას.

◆ მოსკოვი, 15 თებერვალი. სპორტის სასახლეში დამთავრდა ევროპის 56-ე ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს უნდა გამოევლინებინა ერთეულთა სრიალში ვაჟთა შორის კონტინენტის ჩემპიონი. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ავსტრიელმა სპორტსმენმა ე. დანცერმა. მეორე ადგილი დაიკავა ფრანგმა ა. კალმამ, მესამე — პ. იონასმა (ავსტრია).

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

●

საინტერესო დუელი

ობერჰოფი. (გდრ). 14 თებერვალი. სსრ კავშირის სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს აქ გამართულ მოთხილამურეთა საერთაშორისო თამაშებზე.

15 კილომეტრზე რბენა ი. უტრობინმა — 53.27,0 მოიგო. მეორე ადგილზე გამოვიდა ნორვეგიელი ლ. სკემსტადი — 53.28,0. პოლონელმა ი. გუტმიზიაგმა III ადგილი მოიპოვა. 10 კილომეტრზე რბენაში ქალთა შორის პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ა. კოლჩინასა და მ. გუსაკოვას შორის მიმდინარეობდა. 5 კილომეტრის შემდეგ გუსაკოვა 9 წამით ჯობდა მეტოქეს, მაგრამ ფინიშთან ყველაზე ადრე მაინც კოლჩინა მივიდა. მისი შედეგია 40 წუთი და 12 წამი. გუსაკოვა 5 წამით ჩამორჩა.

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ამანათრბენები. შეჯიბრებაში ჩაებნენ გდრ-ის, სსრ კავშირის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ბულგარეთის გუნდები. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა რბოლა საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა გუნდი ქალთა ამანათრბენში პირველ ეტაპს პოლონეთთან აგებდა, მაგრამ ჯერ კოლჩინას, შემდეგ გუსაკოვას თავგანწირვამ კოლექტივს პირველი ადგილი მოუტანა. პოლონელებმა — მეორე, ხოლო მასპინძლებმა მესამე ადგილები დაიკავეს.

ნახევარი სანტიმეტრით

ლოს-ანჯელოსი. 14 თებერვალი. „კოლიზეუმის" დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა მორიგი საერთაშორისო შეხვედრა. ბირთვის კვრაში ქალთა შორის კვლავ მიუწვდომელი იყო ოლიმპიური ჩემპიონი თ. პრესი. მის მიერ ნასროლი ბირთვი ამჯერად 17.14 მეტრზე დაეცა. სიგრძეზე ხტომაში სეზონის საუკეთესო შედეგი (635 სმ) აჩვენა მსოფლიო რეკორდსმენმა ინგლისელმა მიგნელ რენდმა.

ჭოკით ხტომაში 472 სმ-ის დაძლევის შემდეგ გ. ბლიზნეცოვმა იერიში 487 სმ-ზე მიიტანა, მაგრამ პირველივე ცდაზე ტრავმა მიიღო და საბოლოოდ V ადგილით დაკმაყოფილდა. ძველ კონკურენტებს — ი. ტერ-ოვანესიანსა და რ. ბოსტონს საინტერესო ბრძოლა ჰქონდათ სიგრძეზე ხტომაში. ტერ-ოვანესიანმა 804 სმ დაძლია. ამერიკელმა ეს შედეგი მხოლოდ ნახევარი სანტიმეტრით გააუმჯობესა. 800 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრება მოიგო უნგრელმა ი. საბომ.

ახალი ამბები

● ფორტ-ოუერსი. (ტეხასის შტატი). ტოკიოს ოლიმპიადის III პრიზიორმა, ამერიკელმა რ. მატსონმა დარბაზში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ბირთვი 20 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე ჰკრა. ეს შედეგი ჰ. გუბნერის მსოფლიო მიღწევაზე 24 სანტიმეტრით უკეთესია.

● მელბურნი. ავსტრალიელმა სტაიერმა რ. კლარკმა, რომელმაც ამას წინათ 5.000 მეტრზე რბენაში ვ. კუცის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა, აქ, სანდრინგპარკის ბალახიან ბილიკზე 10 მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა. კლარკმა სამი კილომეტრი სწრაფად ირბინა, მაგრამ შემდეგ ტემპს უკლო. მისი საბოლოო შედეგი — 47.54,8. მესამეა მსოფლიოს ისტორიაში ამ დისტანციაზე.

გუშინ...

გუშინ მოსკოვს გაემგზავრნენ თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელები. აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, ფხაკაძე, ექსეულიძე, კარტოზია, ბაგრატიონი და კლიმოვი შეყვანილი არიან სსრ კავშირის „ბურევესტნიკის" ნაკრებში. ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე.

ხვალ ნაკრები საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად გაემგზავრება დანიაში. 20 თებერვალს ბურევესტნიკელებს კოპენჰაგენში მოუწევთ პარიზის „ივრისა" და კოპენჰაგენის „აიაქსის" ხელბურთელთა მეოთხედფინალურ მატჩზე დასწრება. თბილისელებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გათამაშების ნახევარფინალში გასვლის უფლება რომ მოეპოვებინათ, სწორედ ამ გუნდებს შორის გამარჯვებულთან მოუხდებოდათ შეხვედრა.

ტურნირი არ დამთავრებულა, ჩემპიონი გამოვლინდა

გუშინ, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში შედგა თბილისის 1965 წლის ჩემპიონატის მე-13 ტური ჭადრაკში ვაჟთა შორის. ტურნირის ლიდერმა ოსტატობის კანდიდატმა რ. ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა პირველთანრიგოსანი ვ. ჩხენკელი და 11,5 ქულით გაინაღდა თბილისის ჩემპიონობა 1965 წელს.

სტარტზე დაკარგული ჩემპიონობა

ოსლო. 14 თებერვალი. გუშინ „ბიშლეტის" სტადიონზე დაიწყო 59-ე მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის ციგურებით სწრაფად რბენაში. პირველობის მთავარ ფავორიტს, ევროპის 1965 წლის ჩემპიონს, მინსკელ ე. მატუსევიჩს სტარტზევე არ გაუმართლდა — 500-მეტრიანი დისტანციის უკანასკნელ მოსახვევზე დაეცა. დაზარალებული სწრაფად წამოხტა და რბენა განაგრძო, მაგრამ ულმობელმა წამმზომებმა 51,2 აჩვენეს, რის გამო საბჭოთა სპორტსმენი მრავალჭიდში გამარჯვებისთვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა.

სპრინტში საუკეთესო იყო იაპონელი კ. სუძუკი — 40,7. მას 0,2 წამით ჩამორჩა ნორვეგიელი მ. ტომასენი, ხოლო ვ. კაპლანმა (სსრ კავშირი) დღის მესამე შედეგი — 41,0 აჩვენა.

მატუსევიჩი დანაკარგის ანაზღაურებისთვის თავდავიწყებით იბრძოდა 5.000 მეტრზე, მაგრამ დაცემით მიღებული მცირე ტრავმა მთელი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას არ აძლევდა და იგი მესამე ადგილით (7.35,1) დაკმაყოფილდა. შესანიშნავად ირბინა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენმა შვედმა იონი ნილსონმა, რომელმაც თავისივე რეკორდი 1,1 წამით გააუმჯობესა — 7.33,3. ნორვეგიელი ფ. ა. მაიერი ფინიშთან მეორე იყო — 7.34,1.

ჩემპიონატის მეორე დღეს გაიმართა 1.500 და 10.000 მეტრზე რბენები. პირველი დისტანცია იოლად მოიგო ნორვეგიელმა პერ-ივარ მუმ — 2.08,0. ჰოლანდიელი კ. ვერკერკი 0,5 წამით ჩამორჩა, რომელმაც თავის მხრივ 0,1 წამით აჯობა ე. მატუსევიჩს.

მრავალჭიდში სამი დისტანციის მერე ფინელი ი. ლაუნონენი ლიდერობდა. მან 130,670 ქულა მოაგროვა და 0,047 ქულით ასწრებდა პ. ი. მუს.

მრავალჭიდში ჩემპიონის გამოსავლინებლად გადამწყვეტი სიტყვა 10.000 მეტრზე რბენას უნდა ეთქვა. მართალია, იონი ნილსონმა ყველას აჯობა (15.47,7), მაგრამ მრავალჭიდმა უპირატესობა პ. ი. მუს მოუტანა. მან საბოლოოდ ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა — 178,727 მიიღო და ჩემპიონობაც მოიპოვა. ლაუნონენი მეორე ადგილზე გამოვიდა (179,165 ქულა), ჰოლანდიელი კ. ვერკერკი მესამეზე — 179,178 ქულა. მრავალჭიდში საბჭოთა სპორტსმენიდან საუკეთესო იყო ა. ანტსონი (179,547 ქულა) — V ადგილი და ვ. კოსიჩკინი — VII ადგილი.

თასი დარჩა თბილისში

თბილისში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. ქალთა გუნდური პირველობის დასასრულს მსაჯთა კოლეგია მეტად საინტერესო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა — ორმა გუნდმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვა და პირველი-მეორე ადგილები გაიყო. თასის მიკუთვნების საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა.

მაშინ, მსაჯთა კოლეგიამ ეს უმაღლესი ჯილდო კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს მიაკუთვნა, რადგან ამ კოლექტივის სპორტსმენებმა პირად პირველობაში მეტი საპრიზო ადგილები მოიპოვეს, ვიდრე მისმა მთავარმა კონკურენტმა — აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა. აზერბაიჯანელები პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ. მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი მესამე ადგილზე გამოვიდა.

პირად პირველობაში გამარჯვება კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა რ. კოტირევამ — 73,7 ქულა—მოიპოვა. მას 0,25 ქულით ჩამორჩა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი რ. კოსტეროვა. მ. სოლოვიოვამ (მოსკოვი) მესამე ადგილი დაისაკუთრა — 73,15 ქულა. პირველ თანრიგოსანთა შორის ყველას ლ. ბურიაკოვამ (აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტი) აჯობა.

დაძაბულად მიმდინარეობდა ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. ლიდერები თითქმის ყოველი იარაღის შემდეგ იცვლებოდნენ. თასის ბედი უკანასკნელმა ვარჯიშმა გადაწყვიტა. უმაღლეს ჯილდოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი (მწვრთნელი გ. ბურჯანაძე) პირველად დაეუფლა. ჩელიაბინსკის პედაგოგიური და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეები შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ.



რ. კოტირევა ს. სხირტლაძე

მეგობრული შარჟები სპორტის ოსტატ ჯ. კვანტალიანისა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ი. ბალიაურმა პირადი პირველობის ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა. მან საბოლოოდ 111,7 ქულა მოაგროვა. მისმა თანაგუნდელმა ს. სხირტლაძემ შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გამოავლინა, გამარჯვებულთან 0,37 ქულა წააგო, მოიპოვა მეორე ადგილი და სპორტის ოსტატის წოდება, ეს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა. მესამე საპრიზო ადგილიც ქართველ ტანმოვარჯიშეს დარჩა, მას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კ. გელოვანი დაეუფლა — 111 ქულა.

ცალკეულ იარაღებზე კ. გელოვანმა ორი გამარჯვება მოიპოვა — ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. ორძელზე უძლიერესი იყო ნ. მარტინოვი (ჩელიაბინსკი), ძელზე — კ. სლისარენკო (სარატოვის პედინსტიტუტი), რგოლებზე — ი. ბარიშნიკოვი (კიევის მედინსტიტუტი), ტაიჭზე — ი. ბალიაური.

პირველთანრიგოსან ვაჟთა შეჯიბრებაში წარმატება ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ი. ჩერნიშენკოს (106,95 ქულა) ხვდა წილად.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

სურათზე: ი. ბალიაური ტაიჭზე ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ნიადაგი მომწიფდა

სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არნახული წარმატებები მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ამ საერთო წინსვლაში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს მეცნიერთა მძლავრ არმიას. საქვეყნო აღიარება ჰპოვეს ქართველი მათემატიკოსების, ფიზიოლოგების, ფიზიკოსებისა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა შრომებმა. საქართველოში მეცნიერების ცალკეულ სფეროებში მძლავრი კერების შექმნის შედეგად უკვე კარგა ხანია მთელი რიგი სამეცნიერო თუ სასწავლო ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოები სარგებლობენ დამსახურებული უფლებით — მიანიჭონ საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხი ბიოლოგებს, ფსიქოლოგებს, პედაგოგიური მეცნიერების წარმომადგენლებს, მედიცინის დარგის მუშაკებს და ა. შ. ამან, უდავოდ, ხელი შეუწყო ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერმუშაკთა კადრების უკეთ მომზადებას და გამოვლინებას. დღეს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს მოწინავე ადგილი უკავია სამეცნიერო წოდების მუშაკთა ხვედრითი წონით.

სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საპატიო უფლება ჩვენი რესპუბლიკის ცალკეულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მოიპოვეს თანდათან, მათი განვითარებისა და მეცნიერთა მძლავრი ჯგუფების შექმნის შესაბამისად. დღეისათვის ასეთი უფლების მინიჭებას უკვე იმსახურებენ ჩვენი რესპუბლიკის მრავალი სხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებთანაც შექმნილ სამეცნიერო საბჭოებში თავმოყრილი არიან ცნობილი მეცნიერები. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს პედაგოგიურ მეცნიერებათა ისეთი დარგი, როგორიცაა ფიზიკური კულტურა და სპორტი, რომლის წინაშე დასმული ახალი ამოცანების წარმატებით გადაჭრა სათანადო რაოდენობის მაღალკვალიფიციურ კადრს მოითხოვს. საამისოდ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მოქმედებს ასპირანტურა, მაგრამ საქმეს აფერხებს ის, რომ არც ფიზიკური კულტურის სასწავლო და არც სამეცნიერო ინსტიტუტს, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს რესპუბლიკაში უფლება არა აქვთ ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მიანიჭონ სამეცნიერო ხარისხი.

ამის შესაძლებლობა კი რესპუბლიკას გააჩნია. როგორც ცნობილია, საქართველო მეოთხე წელია მტკიცედ ინარჩუნებს გარდამავალ დროშას ფიზკულტურული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე საქართველოს სპორტული დელეგაცია საპრიზო ადგილზე გამოდის რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ. ჩვენი ფეხბურთელები, ხელბურთელები, მოჭადრაკეები, წყალბურთელები, მოჭიდავეები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ამ წარმატებათა ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ფიზკულტურასა და სპორტში სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის სწორი დაყენება. ამ მხრივ დაუფასებელ სამსახურს გვიწევენ საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების კოლექტივები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ სპორტული პრაქტიკისათვის მეტად საჭირო თეორიულ პრობლემებს და ამით უშუალოდ უწყობენ ხელს ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობას. ამ კოლექტივების წარმომადგენელთა სამეცნიერო შრომები კარგა ხანია იბეჭდება არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის პრესაშიც. ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 12 დოქტორი და 35 კანდიდატი, თუ აღარაფერს ვიტყვით იმ მუშაკებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ მრავლად შექმნეს საკანდიდატო დისერტაციების ტოლფასოვანი შრომები.

აშკარა ხდება, რომ უკვე მომწიფდა ნიადაგი დაისვას საკითხი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიეცეს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. ამ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში დღეს მეცნიერებათა 25 კანდიდატი და 17 დოქტორია. არის სრული შესაძლებლობა ამ რიცხვის ზრდისა მასში მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებათა სპეციალისტების შეყვანის გზით: ამ საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტამდე კი უნდა დაისვას საკითხი, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცალკეულ ინსტიტუტებს მიეცეთ უფლება მიიღონ დასაცავად ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე დაწერილი დისერტაციები.

ეს გარემოება დიდ სტიმულს მისცემს მეცნიერების ამ ახალ დარგში კადრების გამოვლინებასა და მომზადებას. დარწმუნებული ვართ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა სპორტის შემდგომ განვითარებას.

ნ. კეცხოველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ს. ნარიკაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

დ. ნოზაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ა. რობაქიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

მ. გორგაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი.

დ. ჩიკვაიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

კროსმენებს ამინდი არ აშინებთ

არჩევნებს მიუძღვნეს

ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა მავნე ტრადიცია, როცა ზამთრის დადგომისთანავე მძლეოსნებისთვის იძულებითი შესვენება იწყებოდა. ხანგრძლივი დროით უწვრთნელობა სპორტსმენთა მაჩვენებლებზე უარყოფითად მოქმედებდა და ხშირად მძლეოსნები ახალი სეზონის პირველ სტარტებს მოუმზადებელნი ხვდებოდნენ.

წელს ეს ტრადიცია დაირღვა, 13-14 თებერვალს თბილისის იპოდრომზე თოვლის მიუხედავად გაიმართა ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების ზამთრის მძლეოსნური კროსი. თოვლიან ბილიკებზე გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სამედიცინო ინსტიტუტების, აბრეშუმის ფაბრიკის, მილიციის სკოლის, ბიბლიოთეკართა სასწავლებლისა და სხვათა 200-ზე მეტი მძლეოსანი.

კროსში, რომელიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისთვის მზადებას მიეძღვნა, გუნდური გამარჯვება შეჯიბრების ინიციატორებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის კროსმენებმა მოიპოვეს.

პირად პირველობაზე 1.000 მეტრზე გოგონების ასპარეზობა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის ვ. არუთინიანის გამარჯვებით დამთავრდა — 3.54,8. ქალებიც ამავე დისტანციაზე ცდიდნენ ძალებს, მაგრამ მათ გაცილებით ცუდი შედეგებით დაამთავრეს რბენა. გამარჯვებულმა ა. პუტიატინამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) ამ მანძილის გარბენას 4 წუთი და 2 წამი მოანდომა.

ჭაბუკებს გასარბენი ჰქონდათ 3.000 მეტრი. აქ ყველაზე კარგი შედეგი (10.05,0) აჩვენა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრმა ბ. კრავჩენკომ.

ბოლოს ბრძოლაში ვაჟები ჩაებნენ. რბენას სტარტიდანვე სათავეში ჩაუდგა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობაზე 5.000 მეტრზე რბენაში გამარჯვებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. რუკინი. მან 5.000 მეტრი რთულ პირობებში 15.26,0-ში გაირბინა და პირველი ადგილი მოიპოვა.

ვ. ნედაშკოვსკი.

• • •

სურათზე: წინაა 5.000 მ რბენაში გამარჯვებული ვ. რუკინი.

ფოტო კ. ნარიმანიძისა.

[illegible]

✦ თბილისი

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველობამ ჭადრაკში, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, დიდი ინტერესი გამოიწვია ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის.

ინსტიტუტის ჩემპიონის სახელი მოიპოვა პირველთანრიგოსანმა ინჟინერმა ლ. გაბუნიამ, რომელმაც 12 ქულა მოაგროვა. II ადგილი წილად ხვდა უფროს მეცნიერ-თანამშრომელს დ. აუცეს (11,5 ქულა), ხოლო III ადგილი — ინჟინერ მ. ასათიანს.

ფ. მამულია.

მოყვარულებს რას ემართლებიან!

—ქ. მახარაძის კრივის მოყვარულებს ნორმალური მეცადინეობის საშუალება არ გვაქვს. დარბაზი დაგვენგრა, დაგვეხმარეთ. უკანასკნელ იმედს „ლელოს“ რედაქციაზე ვამყარებთ.—იწერებოდნენ სპორტსმენები მახარაძიდან. საქმეში ჩარევა რედაქციამ საკითხის ადგილზე შესწავლით გადაწყვიტა. მახარაძეში, რა თქმა უნდა, პირველად კრივის დარბაზი მოვიკითხეთ. ყოფილი ეკლესიის ერთი კედელი მართლაც გამონგრეულია, შენობა ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება და შიგ შესვლაც კი საშიშია. ჩამტვრეული ფანჯრებიდან გარედანაც კარგად ჩანს დარბაზში უწესრიგოდ დაყრილი სპორტული ინვენტარი.

ვის ეკისრება დარბაზზე პასუხისმგებლობა? არავის! თურმე იგი ბალანსზე არსად ირიცხება და ჰაერზე „დაკიდებული“ შენობა თუ დაინგრა, გასაკვირი არცაა. აღდგენაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

სად ვეძებოთ გამოსავალი? სექცია „კოლმეურნეს“ ეკუთვნის. ამიტომ „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს მივაკითხეთ.

— ჩვენს მწვრთნელს ვ. შავიშვილს კარგა ხანია სექციის სავარჯიშოდ ცენტრალური დარბაზი შევთავაზეთ,—გვითხრა ქ. გოგიტაძემ,—მაგრამ მას შეთავაზებული დრო არ აწყობს, კრივის



მოყვარულთა სამართლიანი გულისწყრომა კი უპასუხოდ რჩება. იქნებ პირველი საშუალო სკოლის დარბაზი გამოვიყენოთ, სთავაზობს მწვრთნელი „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს. ასეთ დავასა და მსჯელობაში გადის დრო. ახლა მწვრთნელთან ყოველდღე მიდიან ახალგაზრდები, რომლებიც ამაოდ ითხოვენ სექციაში გაერთიანებას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაიონში ერთადერთი სექციაა და ყველა მსურველს იგი ვერ აკმაყოფილებს. კოლმეურნე სპორტსმენთა გასული წლის სტენდებზე დღესაც გამოკრულია კრივში „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის პრიზიორების, მახარაძელი სპორტსმენების ზ. ცინცაძის, გ. სიხარულიძისა და ო. წიტაიშვილის ფოტოსურათები. მათ შემცვლელნი სჭირდებათ და ნაამაგარის წყალში ასე გადაყრა მართლაც დასანანია.

„კოლმეურნეს“ ცენტრალურ საბჭოს და კრივის რესპუბლიკურ ფედერაციას შევახსენებთ, რომ კოლმეურნე-მოკრივეები უკანასკნელ წლებში რინგზე აღარ გამოჩენილან. მტკივნეული საკითხები მოგვარებას მოითხოვს და იგი კრივის მოყვარულთა სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

თ. ბაჩიჩილაძე.

ქ. მახარაძე.

ბაკურიანში ბრძოლები დამთავრდა

ბაკურიანი. 15 თებერვალი. გუშინ და დღეს საქართველოს უძლიერესმა სპორტსმენებმა და გუნდებმა ამოსწურეს თხილამურებით რბენაში რესპუბლიკის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული უკანასკნელი ასპარეზობანი. გუშინ გათამაშდა მოკლე დისტანციები — 5 კმ ქალთათვის და 15 კმ ვაჟთათვის, ხოლო დღეს ვაჟთა შორის გაიმართა „მარათონი“ — რბენა 50 კმ-ზე.

5 კმ-ზე რბენაში თავდაპირველად არავითარი ღირსშესანიშნაობა არ მომხდარა — სპორტსმენები ფინიშთან მოდიოდნენ არასახარბიელო მაჩვენებლებით. მდგომარეობა ოდნავ გამოცოცხლდა, როცა გამოჩნდა მოთხილამურე მე-10 სამკერდე ნომრით. ეს იყო ბურევესტნიკელი ე. გავა, რომლის ფინიშიც ერთობ ეფექტური ჩანდა საერთო ულიმღამო ფონზე. ეს გარემოება დაადასტურეს წამმზომებმაც: ე. გავას შედეგი — 23 წუთი და 23 წამი — თუმცა კი არ აღემატებოდა II თანრიგს, მაგრამ საუკეთესო იყო ჯერჯერობით ფინიშთან მისულ სპორტსმენთა მაჩვენებლებზე. იგი საუკეთესოდ რჩებოდა კიდევ 4 მორბენლის მოსვლისას, მაგრამ შემდეგ, როცა რბენა დაამთავრა ჯერ ფ. ოსიპოვამ, მერე კი ქ. კრუგლოვამ (ორივენი „ბურევესტნიკი“), ე. გავამ ერთბაშად მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ქ. კრუგლოვას შედეგია 20.54 და მხოლოდ ეს მაჩვენებელი აკმაყოფილებდა I თანრიგის მოთხოვნას.

ვაჟთა შორის კი — 15 კმ-ზე რბენაში — II თანრიგი საერთოდ „უმაღლესი მწვერვალი“ აღმოჩნდა. აქ გამარჯვებული გამოვიდა ბურევესტნიკელი ჯ. წაქაძე, რომელიც პირველი დადგა სტარტზე და რომლის შედეგიც — 58,06— გადაულახავი აღმოჩნდა ყველა დანარჩენი სპორტსმენისათვის. ერთადერთი, ვინც რამდენადმე მიუახლოვდა ამ მაჩვენებელს, იყო განთიადელი ნ. დიაკონაშვილი, მაგრამ მას „უმტყუნა“ 45-მა წამმა (58:51).

დაბოლოს, 50 კმ-ზე რბენა. აქაც I თანრიგის ერთადერთი შედეგი იქნა ნაჩვენები და . მას მიაღწია სპორტსმენმა, რომელიც ყველაზე „უიღბლო ნომრად“ — მეცამეტედ გამოდიოდა. ეს იყო ბურევესტნიკელი ნ. ბიტიუკოვი. ძნელი, მომქანცველი დისტანცია მან საკმაოდ კარგ ტემპში გაიარა, დაფარა იგი 3:14.52-ში და I ადგილიც მოიპოვა. II ადგილზე აქაც ნ. დიაკონაშვილი გამოვიდა — 3:33.10, მესამეზე — ა. [illegible] 3:33,58.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონის წოდება 11 ქულით მოიპოვა „ბურევესტნიკმა“. მეორე ადგილზეა „განთიადი“ — 17 ქულა. „დინამომ“ და „კოლმეურნემ“ მიიღეს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 21-21, მაგრამ იმის გამო, რომ „დინამოს“ პირველი ადგილების მეტი რაოდენობა აღმოაჩნდა, III პრიზიორი ის გახდა.

შ. მაღალაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რატომ წავაგეთ იაპონელებთან?

ეს დიდი დიალოგის ნაწილია, რომელიც საგაზეთო ინტერვიუს ჩარჩოშია მოქცეული და ცდაა უპასუხო საკითხზე, რომელიც დააყენა უკანასკნელმა ორმა ოლიმპიადამ. იგი ტანმოვარჯიშის დიდი დაკვირვების შედეგია.

ტანმოვარჯიშის სახელია — ბორის შახლინი, სპორტული სტაჟი — 20 წელი, ტიტულები და ჯილდოები — უნიკალური.

შახლინი მიჩვეულია „დიალოგები“ ჩაატაროს უდიდესი ტანვარჯიშული შეჯიბრებების ფიცარნაგზე. ამჯერად, ჩვენი კამათის დროს არ არის არც ერთი ტანვარჯიშული იარაღი. ფიცარნაგი გახდა ქაღალდის სუფთა ფურცელი, ბ. შახლინთან მოსაუბრე — ჟურნალისტი, აასის კორესპონდენტი ალექსანდრე მარიამოვი.

12 წლის წინათ ციმბირის ერთ-ერთ პატარა ქალაქ იშიმას მკვიდრი მიღებულ იქნა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, გუნდში, რომელიც მიჩვეული იყო მხოლოდ გამარჯვებებს და საკმაო სპორტული დიდება ჰქონდა მოპოვებული. ვიქტორ ჩუკარინი, გრანტ შაგინიანი, ვალენტინ მურატოვი, ევგენი კოროლკოვი მაშინ ერთმანეთში იყოფდნენ მსოფლიო ტანვარჯიშის ყველა ჯილდოს. შახლინი მოსწავლიდან სწრაფად გადაიქცა საშიშ მეტოქედ და ასების კვარტეტი კვინტეტი გახდა.

1960 წლამდე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ბორის შახლინი იყო, არ იცოდნენ თუ რა იყო დამარცხება საერთაშორისო სარბიელზე.

● **— ღირს კი მოვიგონოთ წარსული, როცა ლაპარაკია ჩვენს ტანვარჯიშზე?**

— რატომ არა? პირველყოვლისა, სანამ დავიწყებდით გამარჯვებას, ჩვენ ძალზე დიდხანს ვაშენებდით ტანვარჯიშის საბჭოთა სკოლას, იძულებული ვიყავით გვეფიქრა ყველაფერზე, გაგვეთვალისწინებია ყველაფერი. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ექსპერიმენტატორები იყვნენ, რადგან ქმნიდნენ სრულიად ახალ ტანვარჯიშს. ჰელსინკის ოლიმპიადაზე მათ გაამჟღავნეს თავიანთი საიდუმლოებანი და ამის შემდეგ 8 წლის განმავლობაში ვიმარჯვებდით. უკანასკნელ ორ ოლიმპიადაზე საბჭოთა ვაჟთა გუნდმა წინ გაუშვა იაპონიის ნაკრები. მაგრამ მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ვიყავით.

დროს თავისი ლოგიკა აქვს. ხშირად მომისმენია ტრიბუნებიდან: „ახლა რომ აქ ჩუკარინი ან და შაგინიანი იყვნენ, აი, ისინი აჩვენებდნენ როგორია ტანვარჯიში...“ აჩვენებდნენ კი? ვფიქრობ, რომ არა. ეს ის შესანიშნავი ტანმოვარჯიშეები იყვნენ, რომლებისგანაც მე ვსწავლობდი, ყოველმხრივ ვცდილობდი წამებაძა მათთვის. ჩემთვის პირადად ვიქტორ ჩუკარინი ნამდვილი სპორტსმენის იდეალია დღეს. ამის მიუხედავად, მათ მაინც გაუჭირდებოდათ ფიცარნაგზე. ძნელია იმ ტექნიკით, იმ კომბინაციებით (მაშინ ისინი ფანტასტიკური გვეჩვენებოდა) და იმ მომზადებით ამჯერად რაიმე მოიპოვო. ტანვარჯიში ძალზე წინ წავიდა, ისე როგორც სხვა სახეობები. იგი უფრო გართულდა.

● **— რატომ დაგვეწიენ ასე სწრაფად იაპონელები?**

— სწრაფად? ჩემი აზრით ეს არ შეიძლება სთქვა 10-წლიან ვადაზე. დიახ, დიახ, ისინი ძალზე დიდხანს გვსწავლობდნენ ჩვენ, აშენებდნენ თავიანთ სკოლას ჩვენის მიხედვით. ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ყოველ ჩვენ წამყვან ტანმოვარჯიშეს. ეუფლებოდნენ ჩვენი წვრთნის მეთოდებს, იღებდნენ კინოფირებს თითქმის ყველა შეჯიბრებაზე, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ყველაფერმა ამან ბოლოსდაბოლოს, საშუალება მისცა მათ, შეექმნათ იაპონური ტანვარჯიშული სკოლა.

თავის დროზე მწვრთნელებმა და ჩვენც დავუშვით შეცდომა. საკუთარმა გამარჯვებებმა გაგვაყოყოჩეს და იაპონელთა წარმატება რომის ოლიმპიადაზე გავდა ქარიშხალს მოწმენდილ ციდან. მართალია, ქარიშხლის პირველი მოახლოვება ჩვენ მელბურნში ვიგრძენით, როცა შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების შედეგი ძალზე მინიმალური იყო. რომის გაკვეთილმა სარგებლობა მოგვიტანა: ჩვენ როგორც იყო ვნახეთ ჩვენივე შეცდომები, გამოირკვა რომ ისინი არც თუ ისე ცოტა გვქონია.

4 წლის განმავლობაში ბევრჯერ შევხვედრივარ იაპონელ ტანმოვარჯიშეებს. ჩემის აზრით, მათ მიერ შესრულებული რთული კომბინაციები ჩვენზე უკეთესი არაა. ყოველ შემთხვევაში ყოველ ჩემს ამხანაგს ნაკრები გუნდიდან შეუძლია შეასრულოს ყოველი იაპონელის მიერ ათვისებული „ულტრა სი“.

● **— გამოდის რომ საქმე სირთულეში არაა?**

— მე არ მითქვამს ეს. იაპონიაში საშუალება მქონდა მენახა ძალზე ბევრი ტანმოვარჯიშე და ამასთან სულ ძალზე ნორჩები (მინდა ამ სიტყვაზე გავაკეთო მახვილი), რომლებიც გასაოცრად დარწმუნებული გამოდიან იარაღებზე. რთულ ელემენტებს იქ ბევრი სპორტსმენი ფლობს, ჩვენთან კი — მხოლოდ ერთეულები. აი მათი გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი.

● **— თქვენ თქვით წარუმატებლობის შესახებ, რომლებიც ნათელი გახდა რომის შემდეგ. რაში გამოიხატება იგი?**

— კეთილდღეობამ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდში დაბადა ზედმეტი თვითდარწმუნებულობა. საბჭოთა ტანვარჯიში მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი თაობის მისაღებად. გუნდის შემადგენლობა დიდხანს არ იცვლებოდა. მხოლოდ მე, შემდეგ იური ტიტოვი და პავლე სტოლბოვი შევედით ნაკრებში. ჩვენ გაგვიმართლდა, რადგან კარგი მასწავლებლები „ვიპოვნეთ“. სახელგანთქმული ტიტულიანი ტანმოვარჯიშეების დიდი მხარდაჭერის შედეგად, საშუალება გვქონდა დამშვიდებით გამოვსულიყავით შეჯიბრებებზე, რადგან გუნდურ გამარჯვებაზე იმ დროს ეჭვიც არავის ჰქონდა. როცა სარბიელიდან წავიდნენ ჩუკარინი, შაგინიანი და მურატოვი, გამოირკვა, რომ მათი ადგილების დაკავება არავის შეეძლო. ნაკრებს რეზერვი არ ყავდა, მე მხედველობაში მაქვს სრულფასოვანი რეზერვი. აი, ჩვენი ერთ-ერთი ნაკლი, რომელიც რომში გამოვლინდა.

● **—როგორ გამოიყურება დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა?**

— რასაკვირველია, იძულებული ვიყავით ერთი ადგილი გვეტკეპნა, სანამ ახალმა სახელებმა არ შექმნეს ახალი ტანვარჯიშული ნაკრები. ამ წლებში ბრძოლის მთელი სიმძიმე ფაქტიურად მხრებზე აწვა გამობრძმედილ ტანმოვარჯიშეთა პატარა ჯგუფს. ჩემთვის ეს ძალზე სასარგებლო იყო. ვისწავლე მქონოდა პასუხისმგებლობის მუდმივი გრძნობა, დამეცვა სასტიკი რეჟიმი და მაქსიმალური სულიერი წონასწორობა.

(დასასრული მე-4 გვ.)

განთიადელთა ასპარეზობა

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ამ საზოგადოების თბილისის პირველობა ჭადრაკში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 15 პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე. თბილისის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ა. მაზმანაშვილმა (ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს საამქროს ოსტატი) — 10,5 ქულა. II—III ადგილები გაიყვეს გ. ფამილიანტმა (ელმავალმშენებელი ქარხანა) და გ. რუხაძემ (ტრიკოტაჟის კომბინატი) — 10—10.

გ. ზოზიაშვილი.

შეამოწმეთ თქვენი პასუხი

ჩვენი გაზეთის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ი. კრიხელის (გორი) ამოცანის პასუხი: 1. ეe5 და 1. ეb7.

შეკითხვა: 1. ი. სტეპანოვი იყო თუ არა მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში და ვინ გააუმჯობესა მისი მიღწევა?

2. ვინ იყო მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის, რა შედეგით და მისი მაჩვენებელი თუ იყო მსოფლიო რეკორდი?

პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის“ კოლექტივი.
თბილისი.

„... პასუხი...“

პასუხი: 1. საბჭოთა მძლეოსანმა ი. სტეპანოვმა მსოფლიო რეკორდის ჭერი პირველმა აწია 216 სანტიმეტრზე. მან რეკორდი (215 სმ) ამერიკელ ზანგ ჩარლზ დიუმასს წაართვა, მაგრამ დიუმასმა შემდეგში შეძლო რეკორდის დაბრუნება — 217 სმ.

2. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ჩ. დიუმასი. მაშინ მან 212 სმ გადალახა. ცხადია, ეს არ იყო მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, რადგან მისივე მსოფლიო რეკორდი ამ დროისთვის 215 სმ-ს უდრიდა.

Დრამატულად წარიმართა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაგრების „მედვეშჩაკის“ ხელბურთელთა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ახლა, როცა შედეგი უკვე ცნობილია, თქვენი ყურადღების გამახვილება გვინდა რამდენიმე ფოტოსურათზე და მატჩის ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობაზე.

მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ იუგოსლაველთა მეკარეს ვუკოვიჩს, რომელმაც პირველი ტაიმი საკმაოდ კარგად ჩაატარა. მაგრამ ის, რაც ამ სურათზეა აღბეჭდილი, ნათლად მოგვითხრობს, რომ მისი ერთ-ერთი თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. ბურთი უკვე კარშია! მარჯვნივ ზემოთა სურათზე გამოსახულია ექსეულიძე მედვეშჩაკელ მეურვეთა ალყაში. ბურთის ტყორცნისას მას ხელით აჩერებენ. როგორც წესი, ამ დროს 7-მეტრიანი საჯარიმო ინიშნება ხოლმე. ამისათვის ჩეხოსლოვაკელმა არბიტრმა ე. პარდუბსკიმ იუგოსლაველები დასაჯა კიდეც. ქვედა სურათი სწორედ ამ სასჯელის აღსრულებაზე მოგვითხრობს. ცერცვაძე ოსტატურად ატყუებს მეკარესა და ბურთის თავზე გადაგდებით გააქვს გოლი.

ახლა კი ცოტა რამ სტატისტიკის შესახებაც.

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაგრების „მედვეშჩაკის“ ხელბურთელთა განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიში ასე იცვლებოდა: 0:3, 2:3, 2:4, 4:4, 4:6, 7:6, 7:7, 10:7, 10:8, 11:10, 19:10, 19:11, 20:11, 20:12, 21:12, 21:13.

გუნდებმა ითამაშეს ასეთი შემადგენლობით: „ბურევესტნიკი“ — აბაიშვილი, ცერცვაძე (გაიტანა 8 ბურთი), კლიმოვი (5), ანთაძე (3), ფხაკაძე (3), ექსეულიძე (2), კარტოზია. თამაშში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბაგრატიონმა და კოპალეიშვილმა. „მედვეშჩაკი“ — ვუკოვიჩი, ჟაგმესტარი (6), მილკოვიჩი (2), ურემოვიჩი (1), ივიჩევიჩი, ბლანკი (2), ბოგდანი (1). თამაშში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბოიიჩმა (1) და პავლოვიჩმა.

ზაგრებელთა კარში დაინიშნა 5 7-მეტრიანი საჯარიმო. აქედან ერთი მსაჯმა არ ჩათვალა, დანარჩენი 4 კი ცერცვაძის მიერ ზუსტად იქნა რეალიზებული. ზაგრებელებმა დაარტყეს 6 7-მეტრიანი საჯარიმო. აქედან ჟაგმესტარმა 4 ტყორცნა შეასრულა (2 გაიტანა, ერთი ძელს მოხვდა და ერთიც მსაჯმა არ ჩათვალა). მილკოვიჩის მიერ შესრულებული 2 საჯარიმო ტყორცნა მიზანს მოხვდა.

მედვეშჩაკელებმა 8-ჯერ ორ-ორი წუთით დასტოვეს მოედანი. ე. ი. 16 წუთს „მედვეშჩაკი“ მოედანზე არასრული შემადგენლობით იყო. თბილისელებს მსაჯმა მხოლოდ 4-ჯერ დაატოვებინა მოედანი. ე. ი. ჩვენი გუნდი მოედანზე 8 წუთს არასრული შემადგენლობით თამაშობდა.

დარჩენილ 5 წუთში თბილისელები 5-ჯერ იყვნენ ნახევარფინალში გასვლის საბოლოო მიზანთან, 3-ჯერ 9-ბურთიანი სხვაობით იყვნენ წინ (19:10, 20:11, 21:12). ხოლო 2-ჯერ — 8-ბურთიანი სხვაობით (19:11, 20:12). ამ უკანასკნელ ვითარებაში 8-ბურთიანი სხვაობა უზრუნველყოფდა „ბურევესტნიკის“ ნახევარფინალში გასვლისათვის საჭირო და სასარგებლო შეფარდებით კოეფიციენტს. როგორც ვიცით, თამაშის ბოლო წამებზე ზედმეტი და გაუმართლებელი სიჩქარით ჩვენმა გუნდმა დაკარგა ეს მეტად საჭირო უპირატესობა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ქვეყნები • ჩემპიონატები • ლიდერები

PRZEGLAD SPORTOWY
Sport
SPORTSKE NOVOSTI
Népsport
Спортен спорт

ინგლისი

შაბათს შედგა ჩემპიონატის 30-ე ტური, რომლის შედეგებია: „არსენალი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 1:2, „ბირმინჰემი“ — „ასტონ ვილა“ 0:1, „ბლეკბერნ როვერზი“ — „ჩელსი“ 0:3, „ბლეკპული“ — „ლეისტერ-სიტი“ 1:1, „ფულჰემი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 4:1, „ლივერპული“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 2:1. „ნოტინჰემ ფორესტი“ — „სტოკ-სიტი“ 3:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბერნლი“ 3:2, „შეფილდ უენსდეი“ — „სანდერლენდი“ 2:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 0:1, „ვესტ ჰემი“ — „ევერტონი“ 0:1.

	თ.	ბ.	ქ.
„ჩელსი“	29	65:30	44
„ლიდს იუნაიტედი“	30	57:38	44
„მანჩესტერ იუნაიტ.“	29	58:31	41
„ტოტენჰემ ჰოტსპ.“	30	58:49	34
„ნოტინჰემ ფორესტი“	30	57:55	33
„ლივერპული“	28	47:41	22
„ბლეკბერნ როვერზი“	29	60:48	31
„შეფილდ უენსდეი“	28	45:37	31
„ევერტონი“	28	49:43	31
„ვესტ ჰემი“	29	57:43	30
„არსენალი“	30	52:59	30
„შეფილდ იუნაიტედი“	30	41:44	29
„სტოკ-სიტი“	29	47:48	28
„ლეისტერ-სიტი“	29	55:61	26
„ბერნლი“	30	45:54	25
„ვესტ ბრომვიჩ ალბ“.	29	42:45	24
„ფულჰემი“	29	46:53	24
„ბლეკპული“	29	48:58	23
„ბირმინჰემ-სიტი“	29	45:63	22
„ასტონ ვილა“	27	33:59	20
„სანდერლენდი“	27	38:54	19
„ვულვერჰემპტონ უონდერერსი“	28	33:63	15

შოტლანდია

„გლაზგო რეინჯერსმა“ მიიღო გათამაშების ლიდერი — „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ (ედინბურგი). აღსანიშნავია, რომ მატჩს დაესწრო მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ე. ერერა, ვინაიდან ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, რომელიც მილანში ჩატარდება, „ინტერი“ ხვდება „გლაზგო რეინჯერსს“. უკანასკნელ წუთებზე გატანილმა გოლმა „რეინჯერსი“ წაგებას გადაარჩინა — 1:1. ერთი კომენტატორის თქმით: „ბატონმა ერერამ, ალბათ, ძლივს შეიკავა თავი სიცილისაგან, როდესაც უყურებდა „რეინჯერსის“ სასტიკად ცუდ თამაშს“. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „კლაიდი“ — „მორტონი“ 1:0, „დანდი იუნაიტედი“ — „ფოლკერკი“ 4:1, „დანფერმლაინი“ — „ეირდრი“ 3:1, „ჰიბერნიენსი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 2:0, „კილმარნოკი“ — „დანდი“ 1:4, „სენტ-მირენი“ — „სელტიკი“ 1:5, „თერდ ლანარკი“ — „პარტიკი“ 0:3. ლიდერობენ „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ და „ჰიბერნიენსი“ — 35-35 ქულა. „დანფერმლაინის“ 34 ქულა აქვს.

ესპანეთი

კვირას, ჩემპიონატის 22-ე ტურში, „სარაგოსამ“ დაამარცხა გათამაშების ლიდერი — მადრიდის „რეალი“ — 1:0. გოლი საკუთარ კარში გაიტანა „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ზოკომ. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდებმა ლუისმა და მენდონსამ 4 „მშრალი“ ბურთი გაგზავნეს ბილბაოს „ატლეტიკოს“ კარში. დანარჩენი შედეგები: „ვალენსია“ — „კორდოვა“ 2:1, „კორუნია“ — „ლევანტე“ 1:0, „ბარსელონა“ — „სევილია“ 4:3, „ოვიედო“ — „ელჩე“ 1:3, „მურსია“ — „ლას-პალმასი“ 1:1, „ბეტისი“ — „ესპანიოლი“ 0:1. ლიდერობა დაისაკუთრა მადრიდის „ატლეტიკომ“ — 34 ქულა. მადრიდის „რეალს“ 33 ქულა აქვს, „სარაგოსას“ — 30, „ბარსელონას“ — 27.

სხვათა შორის

დემონსტრატორმა ... უშველა

კეჩკემეტის 1964 წლის ზონალურ ტურნირზე უნგრელი დიდოსტატი ი. ბილეკი პოლონელ ოსტატს ე. ბედნარსკის ეთამაშებოდა. ბრძოლა მწვავედ წარიმართა. როცა უნგრელი დიდოსტატი „ჩაეფლო“ პოზიციის შესწავლაში, მას ჩაეძინა. გადიოდა წუთები და ალბათ ბილეკი დროსაც გადააცილებდა, რომ დემონსტრატორმა უხერხულად გადაადგილა ფიგურა და იგი ხმაურით ჩამოვარდა. ბილეკმა მყისვე გამოიღვიძა და მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება.

▲ **კოპენჰაგენი.** აქ გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ქალთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებოდნენ კოპენჰაგენისა და ქ. ფრიგის (ნორვეგია) გუნდები. გაიმარჯვეს დანიელებმა ანგარიშით 17:9.

▲ **ციურიხი.** ცნობილი გახდა, რომ ჩოგბურთში გალეას თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ქვეყნები: ბელგია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, საფრანგეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, იტალია, ლუქსემბურგი, მონაკო, ავსტრია, პოლონეთი, რუმინეთი, შვეცია, შვეიცარია, ესპანეთი, უნგრეთი, გფრ და 1964 წლის თასის მფლობელი სსრ კავშირი.

▲ **სან სებასტიანი.** საერთაშორისო მძლეოსნურ კროსში 10 კმ-ზე გაიმარჯვა ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელმა მოჰამედ გამუდმა (ტუნისი). მისი დრო 30:44,2.



რატომ წავაგეთ იაპონელებთან?

(დასასრული)

ამჟამად შემიძლია დავასახელო რამდენიმე ახალგაზრდა ტალანტი. მე მჯერა მათი. პირველყოვლისა, მიხეილ ვორონინი — ბუნებით დაჯილდოებული ჭაბუკი, მუშაობაში ელეგანტური, ტექნიკური, ამიტომ იყო, რომ იაპონელმა სპეციალისტებმა მაშინვე მიაქციეს მას ყურადღება და მჯერა დაიწყეს მისი კომბინაციების შესწავლა. მიხეილს კარგი სპორტული მომავალი აქვს. შემიძლია დღესვე ვუწინასწარმეტყველო ეს მას. ნიჭიერია ტაშკენტელი სერგი დიამიდოვი. იგი შრომისმოყვარე და ამასთან მორცხვი ჭაბუკია. უსათუოდ ნიჭიერები არიან ლეონტიევი, ლისიცკი, კუცი და კიდევ რამდენიმე ბიჭი, რომლებზეც უკანასკნელ ხანებში ბევრს წერდნენ.

● — ესენი ხომ ნაკრების წევრები არიან?

— დიახ, სამწუხაროდ, ნაკრების წევრები არიან. იაპონიაში ვნახე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. დღეისათვის ამ ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდს ყავს ძალზე პერსპექტიული და ტექნიკური ცვლა, რომელზეც ჩვენ მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. ამაში მე პირადად ვხედავ „ულტრა სის“ საიდუმლოს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდობა ხალისით როდი მიდის ტანვარჯიშულ დარბაზებისკენ. რატომ? იქნებ მწვრთნელებია დამნაშავე? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენთან თითქმის არ არის სპეციალიზირებული ტანვარჯიშული სკოლები, როგორც მაგალითად, ფეხბურთში. შეიძლება ფორმალიზმი და როგორღაც მასობრივი ხელოსნურობა აშინებს ბავშვებს. როგორ შეიძლება დავგეგმოთ სპორტის ოსტატები? შეიძლება დავგეგმოთ ნიჭიერება? ეს აფსურდია, მაგრამ სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებული ჩვენს ტანვარჯიშში.

● — მაშასადამე, იაპონელებს გააჩნიათ ორი კოზირი?

— კოზირი იმისთვის არსებობს, რომ იგი ხელმარჯვედ გამოიყენო. სპორტის მოყვარულები, რომლებმაც ნახეს ტოკიოს შეჯიბრებები ტელევიზორით, აღფრთოვანებული იყვნენ იაპონელთა ვარჯიშების გამოკვეთილობით და სილამაზით, აღფრთოვანებული იყვნენ მათი კომბინაციების სირთულით. ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა უბრალოდ თქვა: „მივხვდი, რომ ტანვარჯიში იაპონელთა სპორტია, ჩვენ ვერასდროს დავეწევით მათ...“ მოდი ვჰინჯოთ გავერკვეთ ამაში. იაპონიის ნაკრები ყველა იარაღზე ნამდვილი სიმტკიცით გამოდიოდა ტოკიოში. რაში გამოიხატებოდა მისი ძალა? ყბადაღებულ „ულტრა სიში“? განსაკუთრებულ თავბრუდამხვევ ტემპში? არა. იაპონელებმა მსაჯებსა და მაყურებლებს უჩვენეს ჩინებული სკოლა და კარგი გემოვნება. ისინი უმწიკვლო იყვნენ. მათ გადაწყვიტეს კარგად შეესრულებინათ საშუალო სირთულის ელემენტები. და ეს გააკეთეს არა მარტო იაპონელებმა. ამაშია თანამედროვე ტანვარჯიშის ერთ-ერთი საიდუმლოება. საკმაოდ ნერვული და დაძაბული ტურნირების მომსახურე მსაჯებისათვის მთავარი იყო ვარჯიშების სისუფთავე. ამისათვის ისინი მაღალ შედეგებს აძლევდნენ სპორტსმენებს. ეს გამოცდილებამ მიკარნახა და ბრძოლის მსვლელობაში გადავწყვიტე: პროგრამის ყველაზე რთული ელემენტები გამომეტოვებინა, რის გამო ტოკიოში ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ.

ყურადღებით დავუკვირდი ჩვენი ნაკრების წევრების — ლეონტიევის, დიამიდოვის და სხვების გამოსვლას. მათი პროგრამა ოლიმპიადაზე ძალზე რთული იყო, მაგრამ მაყურებლებმა იგრძნეს ამ სირთულის სიმძიმე. ეს არის ჩვენი შეცდომა. ტაქტიკურად სუსტი აღმოვჩნდით.

● — გამოცდილებამ უნდა გვიკარნახოს რეცეპტი. არის კი ასეთი?

— ეს ჩემი რეცეპტია. თუმცა, ზოგი რამ, ჩემის აზრით, სრულიად აუცილებელია. საკვირველია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზულად ვერ ვუყურებთ საზღვარგარეთელ ტანმოვარჯიშეებს. ისინი კი — პირიქით, და ამიტომაა რომ, სწრაფად კუდში მოგვდევენ. მაგალითად, იაპონელი ტანმოვარჯიშეების წვრთნაზე შექმნილი ფილმები არა მარტო ნაკრების წევრებმა უნდა ნახონ, არამედ ახალბედებმაც. ეს ნამდვილი სახელმძღვანელოა. მხოლოდ, არ უნდა ჩავარდეთ უკიდურესობაში. ბრმა მიბაძვა არ არის კარგი, ორიგინალი ყოველთვის საინტერესოა ასლზე. ჩვენს ტანვარჯიშს თავისი ტრადიციები აქვს, თავისი ნათელი ნაკვთები, ეროვნული თავისებურებანი. მე უფრო მკაცრი საწვრთნელი რეჟიმის, კომბინაციების მუდმივი გართულების მომხრე ვარ. კარგმა ტანმოვარჯიშემ ყველაფერი უნდა იცოდეს. ტანვარჯიშის ევოლუცია იქამდე მიგვიყვანს, რომ დღევანდელი „ულტრა სი“ ხვალ ნებისმიერი სკოლის ელემენტებად გადაიქცევა. მე ამის მომხრე ვარ: დე, დამწყები ტანმოვარჯიშე მთელი სერიოზულობით მოეკიდოს თავის ტანვარჯიშს, რომ მან არა მარტო აიმაღლოს სპორტული ოსტატობა, არამედ ყოველდღიურად იმუშაოს ტაქტიკურ მოქნილობაზე. ყველა ჩვენ — ტანმოვარჯიშეებმა და მწვრთნელებმა აუცილებელია, თვალყური ვადევნოთ მეცნიერების მიღწევებს, რადგან დღეს სპორტში ბრძოლის სარბიელზე გამოდის არა მარტო ძალა და მოქნილობა, ინტელექტიც.

ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდობაზე, უნდა ვეძებოთ ნიჭიერები, ვისწავლოთ ტანვარჯიშით მათი დაინტერესება, სწორად დავაყენოთ წვრთნა. ეს მწვრთნელთა და ჩვენი საქმეცაა. უნდა ავამაღლოთ ჩვენი თავისადმი, გემოვნებისადმი, თავმოყვარეობისადმი მომთხოვნელობა. იაპონელები სწავლობდნენ ჩვენგან. მოვიდა დრო, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ იაპონელებისაგან. ეს არ არის სამარცხვინო. მეხიკოს ოლიმპიადაზე ჩვენ მოვიმკით ამ გაკვეთილის ნაყოფს.

• • •

სურათზე: იაპონელი ტანმოვარჯიშე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ი. ენდო ვარჯიშის დროს.


ჯ. ზენაიშვილი.

უსიტყვოდ...

ნახატი ჯ. ზენაიშვილისა.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

დღეს თბილისის სპორტკავშირის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) 19 საათზე გაიმართება **თბილისის ფეხბურთის მსაჯთა საქალაქო აქტივის სხდომა.**

ყველა მსაჯის დასწრება სავალდებულოა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09. ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00544